საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი

კვარტალური ანგარიში

2016 წ. (ივლისი-სექტემბერი)

ავთანდილ თალაკვაძე
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი

1 ნოემბერი, 2016 წ.

ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანმრთელობის ხელშეწყობა. ქვეყნისათვის უმთავრესია, როგორც მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, ასევე ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვა. იგი ერთ-ერთი უფლებაა, რომელიც აუცილებელია სხვა უფლებების რეალიზაციისთვის.

ჩვენი მრავალფუნქციური დეპარტამენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება“, რომლის მიზანია კრიტიკული პაციენტების გადაუდებელი შემთხვევების დროს, გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება, მოსახლეობის უფასო, შეუფერხებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის გზით.

მოცემული ანგარიში ასახავს ჩვენი დეპარტამენტის 2016 წლის მუშაობის პროგრესს, მიმდინარე არაერთ პროექტსა და მომავალში დაგეგმილ აქტივობებს.

დეტალური მიმოხილვისთვის გვსურს, წარმოგიდგინოთ ჩვენი დეპარტამენტის კვარტალური (ივლისი - სექტემბერი) ანგარიში.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის
დეპარტამენტის უფროსი

ავთანდილ თალაკვაძე

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა..... 1

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება..... 2

პროგრესი..... 2

გამოძახებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი..... 3

გამოძახებათა თანხობრივი მაჩვენებელი..... 4

გამოძახებათა დიფერენცირებული სტატისტიკა..... 5

ოკუპირებული ტერიტორიებიდან განხორციელებული სამედიცინო ტრანსპორტირება..... 5

გამოძახებათა დიფერენცირება ნოზოლოგიური ჯგუფების მიხედვით..... 6

რეფერალური დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობრივი მაჩვენებელი..... 7

რეფერალური დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების თანხობრივი მაჩვენებელი..... 7

დეპარტამენტის მიმდინარე საქმიანობა..... 9

სამოქალაქო უსაფრთხოების გეგმები..... 9

სამედიცინო დაწესებულებების პასპორტიზაცია..... 9

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა..... 9

დეპარტამენტის მიმდინარე პროექტები..... 9

რეფერალური შემთხვევების მართვის (რეფერალური დახმარება) ინსტრუქცია..... 10

სამედიცინო ტრანსპორტირების აღრიცხვისა და მართვის სისტემა..... 10

დეპარტამენტის ცხელი ხაზი..... 10

სამედიცინო დაწესებულებათა ინვენტარიზაცია..... 11

დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო..... 12

გასვლითი სამედიცინო აქციები რეგიონებში..... 12

დოკუმენტი წარმოადგენს დეპარტამენტის ინტელექტუალურ საკუთრებას

ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის (შემდგომში დეპარტამენტი) სტრუქტურულ ქვედანაყოფებს წარმოადგენს:

- კატასტროფების მართვის სამმართველო
- დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველო

კატასტროფების მართვის სამმართველოს ფუნქციები და ამოცანები

- სხვადავსხვა სახის კატასტროფებისა და საომარი მდგომარეობის დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას და ყოველდღიურ რეჟიმში სათანადო სამედიცინო დაწესებულებებს შორის გადაუდებელი მდგომარეობებისას დროული სამედიცინო ტრანსპორტირების კოორდინაცია;
- რეფერალური დახმარების კოორდინირება, კერძოდ, ადგილზე რეფერალური ბრიგადების მიერ კონსულტაცია და გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირება და განთავსება შესაბამის კლინიკებში;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს ფუნქციები და ამოცანები

- მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის მიზნით და სამოქალაქო თავდაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის, სამედიცინო ფორმირებათა შექმნის კოორდინაცია;
- სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შედგენა-განხორციელება, როგორც საომარი მდგომარეობის, ისე ტექნოგენური, ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფების, ეპიდემიების დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციების დაზარალებული მოსახლეობის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სწავლების დაგეგმვა-ორგანიზება, სხვადასხვა სახის კატასტროფების დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციებისას დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფისთვის საჭირო სამედიცინო რეზერვების დაგეგმვა და გაცემის ორგანიზება, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო დაწესებულებების მოქმედებათა კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს სამინისტროსათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემული ჰუმანიტარული ტვირთის მიღებისა და განაწილების კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ქვედანაყოფებში კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია.

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება

დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ყოველდღიურ რეჟიმში, გადაუდებელი მდგომარეობის დროს, კოორდინაციას უწევს სასწრაფო დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების უზრუნველყოფას:

- სამედიცინო ჩვენებით პაციენტის ჰოსპიტალიზაციის უზრუნველყოფა შესაბამისი პროფილის უახლოეს კლინიკაში;
- რეფერალური დახმარება - კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვა, ადგილზე რეფერალური ბრიგადების მიერ კონსულტაცია, მდგომარეობის სტაბილიზაცია, გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირება;
- საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადების თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი №1

პროგრესი



2015 წლიდან საგანგებო სიტუაციების, კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტმა თავისი კომპეტენციის შესაბამისად, დაიწყო რეფერალური პროგრამის დახმარების ფარგლებში განხორციელებული შემთხვევების ყოველთვიური ანალიზი. ასევე მიმდინარედ, შემთხვევის დადგომისას გამომძახებელი სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზიების, ნებართვების მონიტორინგი, ყოველდღიურ რეჟიმში განხორციელებული სამედიცინო ტრანსპორტირების შემთხვევისას მოწოდებული დიაგნოზის გადამოწმება, როგორც გამომძახებელ ასევე მიმღებ სამედიცინო დაწესებულებებში, ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად შეამცირა რეფერალური პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ტრანსპორტირების შემთხვევების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებელი.

გამოძახებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი

შესრულებულ გამოძახებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი მომსახურების ტიპისა და წლების მიხედვით:





გამოძახებათა თანხობრივი მაჩვენებელი

დეპარტამენტი ყოველთვიურად, არაუგვიანეს 10 რიცხვისა, ახორციელებს წინა თვის რეფერალური პროგრამის დახმარების ფარგლებში განხორციელებული შემთხვევების ანალიზს და ანგარიშის წარდგენას სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოში“. რეფერალური დახმარების, კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვის, ადგილზე კონსულტაციის, მდგომარეობის სტაბილიზაციის და პაციენტთა ტრანსპორტირების დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად:

სამედიცინო დახმარება რეანიმობილით (კონსულტაცია, სტაბილიზაცია, ტრანსპორტირება):

- 25 კმ-იანი ზონა - 79 ლარი;
- 150 კმ-იანი ზონა - 373 ლარი;
- 250 კმ-იანი ზონა - 553 ლარი;

სამედიცინო დახმარება (ადგილზე კონსულტაცია):

- 25 კმ-იანი ზონა - 44 ლარი;
- 150 კმ-იანი ზონა - 266 ლარი;
- 250 კმ-იანი ზონა - 444 ლარი;
- თანმხლები კონსულტაცია - 50 ლარი.

შესრულებულ გამოძახებათა ანაზღაურებული თანხის ოდენობა თვეების მიხედვით: 2015 – 2016 წ. (იანვარი - სექტემბერი)



2016 წლის, მესამე კვარტლის (ივლისი-სექტემბერი) მონაცემების მიხედვით:

რაოდენობრივი მაჩვენებელი



ფინანსური მაჩვენებელი



გამოძახებათა დიფერენცირებული სტატისტიკა

„სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის, სამედიცინო ტრანსპორტირების რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში დეპარტამენტმა 2016 წლის მესამე კვარტალში (ივლისი-სექტემბერი) განახორციელა 4,808 პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირება/ადგილზე კონსულტაცია. კატასტროფების მართვის სამმართველომ 2016 წლის მესამე კვარტლის გამოძახებების დიფერენცირება მოახდინა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- მამრობითი - 59% (2,849)
- მდედრობითი - 41% (1,959)

მათ შორის:

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირი - 0.7% (35)
- ახალშობილი (1 დღე - 28 დღე) –6.7% (320)
- ბავშვი (29 დღე - 1 წელი) –3.1% (150)
- ბავშვი (1 წელი-5 წელი) –6.4% (308)
- მოზარდი (5 წელი-18 წელი) –8,1% (388)
- მელოგინე/ორსული - 1,6% (76)

ოკუპირებული ტერიტორიებიდან განხორციელებული სამედიცინო ტრანსპორტირება

2015 წლისა და 2016 წლის პირველი ცხრა თვის (იანვარი-სექტემბერი) პერიოდში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან კოორდინაცია გაუწია 460 პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირება/კონსულტაციას.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი



გამოძახებათა დიფერენცირება ნოზოლოგიური ჯგუფების მიხედვით:

2016 წლის მესამე კვარტლის (ივლისი-სექტემბერი) ანგარიშში მოწინავე ადგილს იკავებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მათ შორის: ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, ანევრიზმა და ა.შ; ხოლო მეორე ადგილზე დგას სხვადასხვა დაზიანებები, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები, კერძოდ ტრავმები, დამწვრობა, მოყინვა, ინტოქსიკაციები. მესამე ადგილს იკავებს სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში (კონვულსიები, ჰიპოვოლემიური შოკი, უცნობი ეტიოლოგიის ცხელება და ა.შ). მეოთხე ადგილზე დგას ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (ტუბერკულიოზი, ჰეპატიტი, აივ ინფექცია, ყირიმ-კონგო, ყივანახველა, ჩუტყვავილა და სხვა) მეხუთე პოზიციას იკავებს ახალშობილების ტრანსპორტირება. მეექვსე ადგილზეა სასუნთქი სისტემის დაავადებები (სუნთქვის მწვავე უკმარისობა, პნევმონია). შემდეგ პოზიციაზეა შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები, სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში. მერვე ადგილს იკავებს ნერვული სისტემის დაავადებები, აქვე აღსანიშნავია სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (გასტრო-ინტესტინური სისხლდენა, დაუზუსტებელი, ნაღვლის ბუშტის ქვები მწვავე ქოლეცისტიტით, მწვავე პანკრეატიტი და ა.შ), სიმსივნეები, ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები, ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა, ავადობისა და სიკვდილიანობის გარე მიზეზები, ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები, თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები, კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები. ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო სამსახურთან.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი №2

რეფერალური დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობრივი მაჩვენებელი

„სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის, სამედიცინო ტრანსპორტირების რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი 23 ცენტრი. გამოიკვეთა, რომ 2016 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით შესრულებული კრიტიკული და გადაუდებელი

მდგომარეობების ტრანსპორტირება/ კონსულტაცია მკვეთრად ნაკლებია 2015 წლის მაჩვენებლებზე, რაც გამოწვეულია პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების რაოდენობების პერიოდული ცვალებადობით. კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოს რაოდენობრივი მაჩვენებლების მკვეთრი სხვაობა განპირობებულია რეანიმობილების რაოდენობასა და დისლოკაციაზე.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი

რეფერალური დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2016 წლის მესამე კვარტალი (ივლისი-სექტემბერი)

№	მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები	2015წ. (3 თვე)		2016წ. (3 თვე)		კომენტარი
		გამოძახებათა რაოდენობა	რეანიმობილების რაოდენობა	გამოძახებათა რაოდენობა	რეანიმობილების რაოდენობა	
1	შპს "ემერჯენსი სერვისი"	1504	19	1506	23	
2	შპს "კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი"	1851	20	1466	22	
3	შპს "რეფერალური დახმარების ცენტრი"	510	5	340	5	
4	შპს "Med Care"	319	4	300	4	
5	შპს "კატასტროფის მედიცინის ცენტრი"	811	10	266	5	
6	შპს. აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	231	3	181	2	
7	შპს "გადაუდებელი სამედიცინო დახმარება"	241	9	87	2	
8	„არქიმედეს კლინიკა"–სიღნაღი	149	1	85	1	
9	შპს "ტაომედი"	95	1	80	1	
10	შპს "არქიმედეს კლინიკა" სენაკი	90	1	33	1	
11	მ.პ.ს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" ბორითი	79	1	35	1	
12	მ.პ.ს. კარდიოლოგიური კლინიკა "გული-ზუგდიდი"	65	1	72	1	
13	შპს ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	50	1	43	1	
14	შპს "კარდიოსერვისი"	40	2	78	2	
15	ააიპ "დოსატაქარი'	-	-	20	1	
16	ს.ს. ნეო მედი	-	-	30	1	
17	სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება"	-	-	7	1	
18	სსიპ "სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	-	-	39	2	
19	შპს "N ქირონ+"	-	-	34	2	
20	შპს "აისისი"	-	-	66	2	
21	შპს "გორმედი"	-	-	21	1	
22	შპს "ენერსი"	-	-	4	1	
23	შპს კატასტროფის გადაუდებელი მედიცინის სამსახური "დასავლეთის ემერჯენსი"	-	-	15	1	
24	ICC Intencive Care Center	84	2	-	-	აღარ ფუნქციონირებს
25	კატასტროფის ცენტრი შ.პ.ს. „MEDLIFE"	204	2	-	-	აღარ ფუნქციონირებს

რეფერალური დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების თანხობრივი მაჩვენებელი

დეპარტამენტი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, მოთხოვნილი თანხის გაანალიზებისას გამოკვეთილი უზუსტობების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. 2016 წლის მესამე კვარტლის (ივლისი-სექტემბერი) განმავლობაში დაკორექტირებულმა თანხამ შეადგინა 11,435 ლარი.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ
ცხრილი

რეფერალური დახმარების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების თანხობრივი მაჩვენებელი 2016 წლის მესამე კვარტალი (ივლისი-სექტემბერი)

№	მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები	მოთხოვნილი თანხის ოდენობა	დაკორექტირების სხვაობა	ანაზღაურებული თანხის ოდენობა	რეანომობილების რაოდენობა
1	შპს "ემერჯენსი სერვისი"	465,611	763	464,848	23
2	შპს "კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი"	457,404	1,343	456,061	22
3	შპს "Med Care"	80,747	-	80,747	4
4	შპს "რეფერალური დახმარების ცენტრი"	78,657	588	78,069	5
5	შპს "კატასტროფის მედიცინის ცენტრი"	74,458	588	73,870	5
6	შპს "ტაომედი"	43,306	-	43,306	1
7	,,არქიმედეს კლინიკა"–სიღნაღი	40,165	6,077	34,088	1
8	შპს "გადაუდებელი სამედიცინო დახმარება"- თბილისი	33,064	540	32,524	2
9	შპს. აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	25,004	-	25,004	2
10	შ.პ.ს. კარდიოლოგიური კლინიკა "გული-ზუგდიდი"	24,246	-	24,246	1
11	შპს "აისისი"	18,583	-	18,583	2
12	სსიპ "სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"	13,797	180	13,617	2
13	შ.პ.ს "რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი" ბორითი	13,121	294	12,827	1
14	შპს "არქიმედეს კლინიკა" სენაკი	12,489	-	12,489	1
15	შპს "კარდიოსერვისი"	11,454	-	11,454	2
16	შპს ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	10,993	-	10,993	1
17	შპს "გორმედი"	7,833	588	7,245	1
18	შპს "N ქირონ+"	7,228	-	7,228	2
19	ააიპ "დოსატაქარი'	6,350	294	6,056	1
20	შპს კატასტროფის გადაუდებელი მედიცინის სამსახური "დასავლეთის ემერჯ	5,301	-	5,301	1
21	სს ,,საჩხერის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება"	3,871	180	3,691	1
22	ს.ს. ნეო მედი	3,252	-	3,252	1
23	შპს "ენენსი"	2,212	-	2,212	1
	სულ	**1,439,146**	**11,435**	**1,427,711**	**83**

2016 წლის მესამე კვარტალში (ივლისი-სექტემბერი) რეფერალურ პროგრამაში ჩართული რეანომობილების რაოდენობა



დეპარტამენტის მიმდინარე საქმიანობა

სამოქალაქო უსაფრთხოების გეგმები

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს სამედიცინო დაწესებულებების მიერ საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის, რეაგირებისა და რეფერალურ ქსელში ჩართულობის გეგმების შემუშავებას და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენას.

„სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ ფუნქცია 6-ის „სამედიცინო რეაგირება“, შესაბამისად, 2015 წლის განმავლობაში წარმოდგენილი და შეთანხმებული იყო 245 სამედიცინო დაწესებულების „საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის, რეაგირებისა და რეფერალურ ქსელში ჩართულობის გეგმა“, ხოლო 2016 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგინა 21-მა სამედიცინო დაწესებულებამ.

სამედიცინო დაწესებულებების პასპორტიზაცია

„სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს №01-33/ნ ბრძანების შესაბამისად, დეპარტამენტი ახორციელებს დაწესებულებების საპასპორტო მონაცემების რეგისტრაციას სამინისტროს საინფორმაციო პორტალზე (http://cloud.moh.gov.ge), ასევე ახდენს დაწესებულებების მიერ დაფიქსირებული მონაცემების პერიოდულ რევიზიას და კორექტირებას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 782 სამედიცინო (სტომატოლოგიური) სერვისის მიმწოდებლის მონაცემების ატვირთვა. დეპარტამენტმა თავისი კომპეტენციების ფარგლებში განახორციელა საინფორმაციო პორტალზე განთავსებული დაწესებულებების მონაცემების ინვენტარიზაცია.

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა

„დედათა და ბავშვთა სიკვდილობის/მკვდრადშობადობის შემთხვევების სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 23 ივლისის №01-30/ნ ბრძანების შესაბამისად დეპარტამენტი უწყვეტ რეჟიმში (24/7) აწარმოებს სატელეფონო ზარებით შემოსული დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შეტყობინების რეესტრს. მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება ბრძანებით განსაზღვრულ ადრესატებს (ელექტრონული ფოსტა, მოხსენებითი ბარათი), ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე ხორციელდება წინა თვის სრული ინფორმაციის (ბაზის) გადაგზავნა საბჭოს სამდივნოში.
დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი №3

დეპარტამენტის მიმდინარე პროექტები

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ვადაგასული და გაუვარგისებული

ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალებების) და სამედიცინო დანიშნულების საგნების ჩამოწერა-განადგურების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ მინისტრის 2016 წლის 7 სექტემბრის N01-205/ო ბრძანების შესაბამისად დეპარტამენტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყო სამინისტროს მუხრანის N2 საწყობის აღწერა და სამინისტროს ბალანსზე რიცხული ვადაგასული ფარმაცევტული პროდუქტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების ინვენტარიზაცია.

დეპარტამენტმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტთან ერთად იმუშავა „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კატასტროფის ბრიგადების მიერ განხორციელებული სამედიცინო ტრანსპორტირების სტანდარტების გაუმჯობესების საკითხებზე, შედეგად განხორციელდა ცვლილება „სასწრაფო დახმარების ბაზისური მედიკამენტების და ბაზისური სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებისათვის მინიმალური მოთხოვნების და პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის N01-17/ნ ბრძანებაში.

რეფერალური შემთხვევების მართვის (რეფერალური დახმარება) ინსტრუქცია

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტთან ერთად მიმდინარეობს „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვის (რეფერალური დახმარება) ინსტრუქციის შემუშავების პროცესი. ინსტრუქცია განკუთვნილია პროგრამაში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის და განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს და შესასრულებელ სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (სოპ), რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კოორდინირებულ და ეფექტურ განხორციელებას.

სამედიცინო ტრანსპორტირების აღრიცხვისა და მართვის სისტემა

„სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესის ასახვა ხორციელდება სამმართველოში არსებულ კატასტროფების მართვის ელექტრონულ პროგრამაში, რომელიც საჭიროებს ოპტიმიზაციას. დეპარტამენტმა მოამზადა ახალი ელექტრონული პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ტექნიკური დავალება „სამედიცინო ტრანსპორტირების აღრიცხვისა და მართვის სისტემა“ და პროცესის მართვის შიდა პროცედურა.

დეპარტამენტის ცხელი ხაზი

„საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის ცხელი ხაზის ფუნქციონირებისათვის“ 2015 წლის 24 ივლისის საქართველოს მთავრობის №372 დადგენილების შესაბამისად, სამინისტროს გადმოეცა საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულებით განსაზღვრული მოკლე ფორმატის ნომერი, საანგარიშო პერიოდში დამონტაჟდა და ამუშავდა კატასტროფის სამსახურის ცხელი ხაზი - „1499“.

www.moh.gov.ge 1499 1499 1499 1499 www.moh.gov.ge

სამედიცინო დაწესებულებათა ინვენტარიზაცია

დეპარტამენტმა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან ერთად კოორდინირებული მუშაობით მიმდინარე წლის მეორე კვარტალში (აპრილი-ივნისი) მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყო 274 სამედიცინო დაწესებულების (მონოპრფოლური და მრავალპროფილური) სრული ინვენტარიზაცია. სამედიცინო დაწესებულებათაგან სახელმწიფო საკუთრებაშია 45 კლინიკა (16,42%), ხოლო კერძო მფლობელობაში კი - 229 (83,58%).

2016 წლის, მეორე კვარტლის (აპრილი-ივნისი) საწოლფონდის მონაცემების მიხედვით:

❖ საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების მონაცემების განაწილება მათი მფლობელობის მიხედვით.



❖ საქართველოს რეგიონებში არსებულ საწოლფონდთა რიცხობრივი მაჩვენებელი.



დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო

- ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის CAREC-ს წევრი ქვეყნების საგზაო უსაფრთხოების მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (16-18 აგვისტო, ქ. კუალა-ლუმპური, მალაიზია)
- UNICEF - სემინარი „განათლება გადაუდებელ ვითარებაში“ (13-15 სექტემბერი, კაჭრეთი)
- გაერთიანებული სამეთაურო სწავლება „დიდგორი 2016“ (25-31 ივლისი)
- საგანგებო სიტუაციების სიმულაციების ეროვნულ ცენტრში (NESC) ჯანდაცვის კუთხით კატასტროფაზე რეაგირების სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობის ციფრული სწავლება/სემინარი (5-8 ივლისი, რუმინეთი, ქ. ტარგუ მურეში)
- ძალოვანი სამსახურების რეაგირება ტერორისტული ხასიათის შემთხვევებზე - ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ტერორიზმი“ (ინფორმაციისა და ძალოვანი სამსახურების იმიჯის მართვა კრიტიკულ სიტუაციებში) (27 – 29 სექტემბერი, თბილისი, ექსპო-ჯორჯია)
- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ორგანიზებით, ზარალის დათვლის ერთიანი მეთოდოლოგიისა და ინფორმაციის მართვის სისტემის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა. (16 სექტემბერი, თბილისი, კრიზისების მართვის ცენტრი)
- Jackal Stone 2016 - ქართულ-ამერიკული ერთობლივი კონტრტერორისტული წრთვნა (8-19 აგვისტო)

გასვლითი სამედიცინო აქციები რეგიონებში

დეპარტამენტის ორგანიზებით პერმანენტულად იმართება გასვლითი სამედიცინო უფასო აქციები რეგიონებში. სამედიცინო აქციების ფარგლებში წამყვანი ექიმ-სპეციალისტების მიერ მოსახლეობას უტარდებათ კონსულტაციები, სხვადასხვა პროფილის ინსტრუმენტალური გამოკვლევები, ტარდება ოპერაციები, საჭიროების შემთხვევაში ურიგდებათ სათანადო მედიკამენტები. საანგარიშო პარიოდში გასვლითი სამედიცინო აქციები მოეწყო შემდეგ რაიონებში:

- მესტიის მუნიციპალიტეტი

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი ფოკა

- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევი

„საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.“

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ

(მუხლი 5)

დანართი №1


პროცესის დასაწყისი
საცალოვნო შეტყობინება
სრულყოფილი ინფორმაციის გამოთხოვა
გადაწყვეტილება
არ
კი
უარი მომსახურებაზე
პროცესის დასასრული
შემთხვევის იდენტიფიკაცია
შემთხვევის პროგრამული ასახვა
მომსახურების გაწევა
ბრიგადა თავისუფალია?
არ
კი
ზარის დალოდება
თავისუფალი ბრიგადის მოძებნა
ზარის გადაცემა შემსრულებ-ლისთვის
ბრიგადის გასვლა
ბრიგადის მისვლა
ბრიგადის გამოსვლა
საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას?
არ
კი
ბრიგადის გათავისუფლება
პროცესის დასასრული
პაციენტის ჰოსპიტალიზაცია
საჭიროებს გამოკვლევისთვის/ მანიპულაციისთვის დალოდებას?
არ
კი
ბრიგადის გათავისუფლება
პროცესის დასასრული
პაციენტის გამოკვლევის/ მანიპულაციის დასასრული
პაციენტის ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებაში
ბრიგადის გათავისუფლება
პროცესის დასასრული

დანართი №2

№	კლასი	2015 წ. (ივლისი-სექტემბერი)		2016 წ. (ივლისი სექტემბერი)	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%
1	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	1925	30.44%	1630	33.90%
2	დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები	972	15.37%	628	13.06%
3	სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში	503	7.96%	426	8.86%
4	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	199	3.15%	317	6.59%
5	პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	624	9.87%	303	6.30%
6	სასუნთქი სისტემის დაავადებები	561	8.87%	248	5.16%
7	შარდ - სასქესო სისტემის დაავადებები	356	5.63%	226	4.70%
8	ნერვული სისტემის დაავადებები	291	4.60%	179	3.72%
9	სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები	81	1.28%	179	3.72%
10	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	423	6.69%	169	3.51%
11	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	127	2.01%	134	2.79%
12	სიმსივნეები	79	1.25%	105	2.18%
13	ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	85	1.34%	78	1.62%
14	თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	-	0.00%	50	1.04%
15	ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	27	0.43%	49	1.02%
16	ავადობისა და სიკვდილიანობის გარე მიზეზები	25	0.40%	46	0.96%
17	ძვალ - კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	21	0.33%	17	0.35%
18	თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	7	0.11%	16	0.33%
19	კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები	8	0.13%	8	0.17%
20	ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო სამსახურთან	9	0.14%	-	-

დანართი №3

თარიღი		მკვდარშობადობა				0-6 დღე				7-28 დღე				29დ-1წ.				1-5 წ				მელოგინე			
წელი	თვე	CRA	NCDC	MOLSHA	საგანგებო	CRA	NCDC	MOLSHA	საგანგებო	CRA	NCDC	MOLSHA	საგანგებო	CRA	NCDC	MOLSHA	საგანგებო	CRA	NCDC	MOLSHA	საგანგებო	CRA	NCDC	MOLSHA	საგანგებო
2015	იანვარი	49	47	46	47	16		19	13	13		14	10	15		15	25	5		6	3		0	0	0
	თებერვალი	45	41	49	45	10		13	14	13		9	9	13		14	12	9		6	6		3	3	3
	მარტი	48	48	45	45	15		15	15	10		10	6	21		18	20	6		4	4		1	2	2
	აპრილი	49	47	50	50	15		15	15	9		9	7	13		10	8	9		6	6		2	2	2
	მაისი	49	54	51	51	30		26	26	10		10	10	9		6	6	6		2	4		3	3	3
	ივნისი	40	34	40	37	15		19	16	14		13	13	15		15	14	8		4	4		2	1	1
	ივლისი	**53**	**57**	**58**	**59**	**16**		**17**	**15**	**11**		**4**	**3**	**13**		**17**	**17**	**8**		**4**	**2**		**0**	**0**	**0**
	აგვისტო	**49**	**48**	**49**	**48**	**23**		**24**	**23**	**8**		**7**	**8**	**15**		**16**	**14**	**12**		**6**	**7**		**2**	**2**	**2**
	სექტემბერი	**42**	**39**	**39**	**39**	**10**		**12**	**10**	**5**		**5**	**6**	**14**		**9**	**10**	**7**		**5**	**5**		**0**	**0**	**0**
	ოქტომბერი	41	42	41	42	11		12	10	9		10	9	12		11	13	7		5	5		2	1	1
	ნოემბერი	45	49	47	47	16	19	19	18	16	18	16	13	7	10	8	12	4	8	5	4		2	1	1
	დეკემბერი		51	49	49	16	15	17	14	7	10	9	10	8	7	7	7	10	11	10	9		3	2	1
2016	იანვარი		58	58	57	25	27	27	27	14	10	11	8	8	9	8	8	8	12	9	7		4	3	3
	თებერვალი		43	43	44	12	11	12	11	10	10	10	11	13	12	12	11	6	5	5	6		1	1	1
	მარტი		37	36	35	15	19	18	18	12	11	11	11	14	14	14	13	5	7	6	7		0	0	0
	აპრილი		57	57	57	17	20	19	19	12	11	12	11	10	10	10	11	10	9	8	8		0	0	0
	მაისი		50	50	51	24	23	23	24	10	10	10	10	15	15	13	12	5	5	4	4		1	1	1
	ივნისი		40	40	39	17	18	18	17	10	10	10	10	12	10	9	10	8	7	7	8		0	2	2
	ივლისი		**39**	**39**	**40**	**14**	**14**	**14**	**14**	**12**	**12**	**12**	**14**	**17**	**17**	**17**	**16**	**8**	**8**	**8**	**6**		**1**	**1**	**1**
	აგვისტო		**49**	**49**	**48**	**23**	**23**	**23**	**20**	**7**	**7**	**7**	**9**	**4**	**4**	**4**	**5**	**11**	**11**	**11**	**9**				
	სექტემბერი		**58**	**58**	**60**	**16**	**16**	**16**	**16**	**10**	**10**	**10**	**7**	**9**	**9**	**9**	**8**	**6**	**6**	**6**	**5**		**1**	**1**	**1**

მონაცემები მოწოდებულია:

- სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - NCDC
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი - MOLSHA
- სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტი - CRA
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი - საგანგებო